ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 214 (18756) ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 16 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1983 ᲬᲔᲚᲘ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐᲞ.

რასაც დასთეს, იმას მოიმკი!

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ Ა�გᲠᲝᲡᲐᲛᲠᲔᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘ მთელ თავიანთ ძალ-ღონეს ახმარენ იმას, რომ მთლიანად შეინარჩუნონ და საიმედოდ დააბინაონ მოწეული ჭირნახული, ღირსეულად შესვდნენ ვეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს. მაგრამ წლევანდელ მოსავალს რომ იღებენ, მომავალ ჭირნახულზეც ზრუნავენ. მათი ყურადღების ცენტრშია დღევანდელობის გადაუდებელი ამოცანები — ხარისხიანი თესლის მომარაგება, ნიადაგის მოშზადება საგაზო ყანისათვის.

ასე იქცევიან რესპუბლიკის ბევრი მოწინავე მეურნეობის კოლექტივები. აღოობის პირველსავე დღეებში საჭიროზე მეტი საშემოდგომო ხორბლის საუკეთესო თესლი მოიმარაგეს და გაწმინდეს კიდეც გურჯაანის რაიონის კაჭრეთის კოლმეურნეებმა. შრომის ორგანიზაციის პროგრესული მეთოდების გამოყენებით შემეჯიდროებულ ვადებში აიღო მოსავალი და სახელმწიფო ბეღელში საგეგმაზე მეტი მარცვლეული მიიტანა გორის რაიონის ვარიანის საბჭოთა მეურნეობამ. ამასთან აქ მომავალი წლის მოსავლისთვის ყურადღება და ზრუნვა არ დაუკლიათ. ოპერატიულად, კომპლექსურად ახორციელებენ მინდვრის საშუშაოებს, აგროწესების ზუსტი დაცვით დამუშავებულ საშემოდგომო მინდორში ჩინებული თესლს თესავენ.

მაგრამ საგაისო მოსავლის ბედისათვის ჯეროვან პასუხისმგებლობას ყველგან როდი იჩენენ. მაგალითად, წალკის და ბოლნისის რაიონების მეურნეობებს აღოობის დროს თესლის მომარაგება ავიწყდებათ, თესვის წინ კი სახელმწიფო ბეღელზე უჭირავთ თვალი.

თესვის ვადის დადგომისას საშემოდგომო ხორბლის თესლი არ ჰქონდათ და სახელმწიფო ბეღლის იმედად არიან წალკის საზოგადოებრივი მეურნეობანი. საჭირო რაოდენობის თესლი არ გამოუვიათ ასპინძის, გორის, კასპის, საგარეჯოს, დმანისის, თიანეთის, სამტრედიის, წულუკიძის, ზესტაფონის რაიონებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეურნეობებს.

თესლის — მოსავლის ოქროს ფონდის მომარაგებისადმი ამგვარ გულარხეინობას შესაძლოა მოჰყვეს მოსავლიანობის შემცირება გაისად. არადა, ყოველდღე უნდა ველოდეთ შემოდგომის უამინდობას, რაც უთოოდ ხელს შეუშლის თესლის მომზადებას.

ეს გარემოება ამკარად მხედველობიდან გაშორჩენიათ წითელწყაროს რაიონის ორჯონიკიძის, ქვემო ქედის, ზნაურის რაიონის შეგუთისა და თერეგვნის კოლმეურნეობებს, რომელთა საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესლის უმეტესი ნაწილი უკონდიციოა.

ბევრი უკონდიციო თესლი აქვთ ქარელის, საჩხერის რაიონების მეურნეობებსაც. ეს იმას მოწმობს, რომ ამ რაიონებში კარგად არ არის დაყენებული მეთესლეობა, აგრონომები ჯეროვნად არ ზრუნავენ მოსავლის გადიდებისათვის. ეს რომ ასეა, ამას წლევანდელი აღოობის შედეგებიც მოწმობს. ქარელელთა და საჩხერელთა პურის ყანების ჰექტარობრივი მოსავალი საშალო რესპუბლიკურ მაჩვენებელს შესაბამისად 2-10 ცენტნერით ჩამორჩება.

ეტყობა, სათესლე მასალაზე ამგვარ არამეურნეობრივ ზრუნვას მკაცრ შეფასებას არ აძლევენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები, აგროსამრეწველო გაერთიანებათა საბჭოები.

ხარისხიანი თესლის მომარაგებისა და, საერთოდ, საშემოდგომო მინდვრებისადმი ბევრი მეურნეობის სწორედ ამგვარმა უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამ, უამინდობასთან ერთად, წლეულს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ის, რომ ათასობით ჰექტარი საშემოდგომო კულტურების ნათესები დაიღუპა, ხელმეორედ დათესა. ამან კი შეამცირა მარცვლეულის მოსავლიანობა და იგი ჯერჯერობით საგეგმაზე 3 ცენტნერით ნაკლებია.

ამ არასახარბიელო მდგომარეობის მიზეზია ისიც, რომ ხუთწლედის მესამე წლის სამოსავლო ხნულში, თესლისა და სარგავი მასალის ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის მიერ გაფრთხილების მიუხედავად, უკონდიციო თესლი დათესეს საგარეჯოს, ბოლნისის, წალკისა და სხვა რაიონების ზოგ მეურნეობაში.

საგაისო მოსავლის ჯარმატებით მოშზადებას მარტო ის მნიშვნელობა როდი აქვს, რომ წლევანდელი დანაკლისი აკინაზღაუროთ. გაისად ჰექტარობრივი მოსავლიანობა ხუთწლედის ბოლოსათვის დასახულ ორიენტირს — 30 ცენტნერს უნდა მიუახლოვდეს, თორემ ამ მიზნას ერთბაშად, იერიშით ვერ მივაღწევთ.

იერიშით ვერც ნათესში მივიღებთ კარგ აღმონაცენს. მით უმეტეს უკონდიციო თესლით, რომელიც ყითელწყაროში — რესპუბლიკის ჰექტრის ბეღელში 3 ათას ცენტნერს აღემატება.

რა არის ამ ჩამორჩენის მიზეზი? უწინარეს ყოვლისა, მეურნეობათა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების უპასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების არცთუ ქმედითი მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა უშუალოდ მეურნეობებსა და საწარმოო ბრიგადებში, რომლის მიზანია მოსავლიანობის გადიდება.

თესვა მიწათმოქმედთაგან მოითხოვს სანიმუშო დისციპლინას, ეერგიულიანობას. სწორედ ამ დროს უნდა გამოაღლილონ კომუნისტებმა მებრძოლის თვისებები — თავდადება შრომაში და მზადყოფნა ამხანაგებს დაეხმარონ მუშაობაში, თესლის კონდიციის უზრუნველყოფაში, რამეთუ ბრძნული ანდაზისა არ იყოს, „რასაც დასთეს, იმას მოიმკი“.

ეს ჭეშმარიტება დღენიადაგ უნდა ახსოვდეთ იმ მეურნეობებს, რომლებიც საკუთარ მეთესლეობას სახელმწიფო დოტაციაზე ყოფნას ამჯობინებენ. დოტაციის მიღება კი, როგორც წესი, ვვიანდება, რის გამოც ხშირად პაიპარად უკონდიციო მარცვალი ითესება — ირღვევა კვალიფიციური მიწათმოქმედების უცილობელი კანონი.

კანონის დარღვევა კი არავის არ უნდა ეპატიოს, მეტადრე მაშინ, როცა საქმე ეხება სახალხო დოვლათის განიავებას.

დრო აღარ რჩება. აგროსამრეწველო გაერთიანებებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა საკმარისად ჰქონდეთ უზადო თესლი. ამ მიზნით მთელი ძალით, ნაყოფიერად უნდა აამუშაონ მარცვლეულის საწმენდ-საშრობი აგრეგატები, იზრუნონ სამუშაოთა მაღალი ხარისხისათვის.

ამ საქმის წარმატებაში დიდი როლი ეკუთვნის აგრონომიულ სამსახურს. ყველას კარგად მოეხსენება, რომ უკონდიციო თესლი თავთავს ძალასა და წონას ვერ შემატებს.

სწორედ აგრონომები უნდა ტეხდნენ განგაშს იმის გამო, რომ თესვა დაიწყო და მეურნეობებს თესლი არ ჰყოფნით, ხოლო რაც აქვთ, ისიც მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

თესლის მომარაგებასა და მომზადებაში შემამფოთებელი მდგომარეობა, ამ საქმისადმი სპეციალიზებული მეთესლეობის მეურნეობათა დამოკიდებულება უნდა გააანალიზონ აგროსამრეწველო გაერთიანებათა საბჭოებმა. მათი მოვალეობაა მეთესლეობას სავგეგმო კონტროლი დაუწესონ, დაეხმარონ სპეციალისტებს ადგილობრივ პირობებთან ყველაზე უკეთ შეგუებული, მაღალპროდუქტიული, დარაიონებული ჯიშებისა და პიბრიდების ფართო დანერგვაში.

საგაისო მოსავლისათვის საიმედო საფუძველის შექმნისათვის, თესლის გულმოდგინე მომზადებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დასაქმებულთა მატერიალური და მორალური წახალისების ღონისძიებათა სრულად გამოყენებას. ანდა, პირიქით, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე ითქვა, ცუდი მუშაობა, უნიათობა, უპასუხისმგებლობა ყველაზე უშუალოდ და გარდაუვალად უნდა ახდენდეს გავლენას მუშაკთა მატერიალურ ანაზღაურებაზეც, სამსახურებრივ მდგომარეობაზეც და მორალურ ავტორიტეტზეც.

ამგვარი მიდგომა დროის დაუკარგავად გააძლიერებს მუშაობას თესლის მოსამზადებლად. ხოლო რაც უფრო ხარისხიანი იქნება იგი, მით უფრო მოიმატებს მოსავალი.

სწორედ ეს არის დღეს ყველა მიწათმოქმედის საბრძოლო მოცანა და სასურსათო პროგრამის წარმატებული განხორციელების საწინდარი.

მიფრინავს „კოსმოს-1498“

1983 ᲬᲚᲘᲡ 14 სექტემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1498“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს დედამიწის ბუნებრივი რესურსების კვლევას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესებისათვის. აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

გადმოცემულ ინფორმაციას იღებს სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო ცენტრი „ბუნება“ დამუშავებისა და გამოყენებისათვის. (საკდესი).

სოხუმი

ᲡᲐᲙᲝᲜᲓᲘᲢᲠᲝ ფაბრიკის კოლექტივი, რომელშიც მრავალი ეროვნების წარმომადგენელი შრომობს, აქტიურად არის ჩაბმული მეგობრობის დღესასწაულის — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში. საწარმოში რამდენიმე წელია ბრიგადული მეთოდით შრომობენ. ამ მეთოდს შესანიშნავი შედეგი მოჰყვა. გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, მუშათა დაინტერესება, რესურსების გამოყენების ეფექტიანობა, საგრძნობლად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. საწარმოს მრავალი სახეობის პროდუქციას მინიჭებული აქვს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი, მომხმარებელს მოსწონს სოხუმელ კონდიტერთა ნახელავი.

ფაბრიკაში მარტო შვიდ თვეში გეგმით გათვალისწინებული 2 მილიონ 70 ათასი მანეთის ნაცვლად გამოშვებულია 2 მილიონ 129 ათასი მანეთის ნაწარმი, რეალიზაციის გეგმა 101 პროცენტით შესრულდა. კოლექტივის გადაწყვეტილებაა სასახელო მაჩვენებლებით დაამთავროს საიუბილეო წელი. (საკ. კორ.).

ბათუმი

ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕ შრომითს წარმატებებს აღწევს ბათუმის ნავსადგურის კოლექტივი. მან რვა თვის გეგმა ვადამდე ორი კვირით ადრე შეასრულა. გეგმის გადამეტებით დაამუშავა ათიათასობით ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი. სატვირთო ოპერაციების საკონტეინერო და ხომალდ-ვაგონის ახლებურმა მეთოდმა კარგი შედეგი მოიტანა. რკინიგზელები რომ მხარს უბამდნენ დოკერებს და საჭირო რაოდენობის ვაგონებს აწვდიდნენ, მენავსადგურეებს უკეთესი შედეგი ექნებოდათ.

მაღალი მაჩვენებლები აქვს № 2 გამსხვილებულ დოკერ-მექანიზატორთა ბრიგადას, რომელსაც დ. კახიძე ხელმძღვანელობს. მას არც პირველი, მესამე და მეოთხე ბრიგადები ჩამორჩებიან. შრომითს თავდადებას შედეგიც შესანიშნავი მოსდევს, ერთი წუთითოც არ წყდება სატვირთო ოპერაციები. იცლება და იგზავნება დიდი რაოდენობის სხვადასხვაგვარი ტვირთი, მარტო ის რა ბევრის მთქმელია, რომ გასულ თვეში საბერძნეთის ერთ-ერთი გემი 135 გემსაათით ადრე დაამუშავეს. ვადამდე დამუშავდა აგრეთვე რეიდზე მყოფი ათობით საბჭოთა გემი. (საკ. კორ.).

ცხინვალი

ᲒᲔᲝᲠᲒᲘᲔᲕᲡᲙᲘᲡ ტრაქტატის 200 წლისთავი — ღირსეული შეხვედრა — ამ დღეებით შრომობენ დღეს ქიმიური ქარხნის (დირექტორი ყ. გუგკაევი) მშრომელები. თავდადებული შრომით დროს უსწრებენ მოწინავე ბრიგადები, მუშები.

საპატიო ამოცანების წინაშე დგანან ცხინვალელი ქიმიკოსები. მათ წელს უნდა გამოუშვან 1550 ტონა სხვადასხვა სახეობის ზეთის საღებავი, 511 ტონა მშრალი თეთრი, 1.200 ტონა ოლიფა, ათიათასობით მანეთის ბროლი. დასახული მიზნის მისაღწევად აქ ბეჯითად შრომობენ. შეჯიბრების სათავეშია ლაქსაღებაგების საამქრო თენგიზ მინდიაშვილის მეთაურობით. ამ საამქროს უკვე 24 აგვისტოსათვის შეასრულა 8 თვის დავალება. თავდადებული საქმიანობის მაგალითებს იძლევიან ლიდა ქასაევასა და რაისა ჭოველიძის ბრიგადები. ბრიგადებში ყველა ერთიანად შრომობს და ერთი ყველასათვის. შემცირდა გაცდენები, ყველგან წესრიგი დამყარდა, ამან აამაღლა პროდუქციის ხარისხი.

(საკ. კორ.).

ᲕᲘᲜ ᲠᲝᲓᲘᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲕᲐᲦᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ

ᲠᲗᲕᲔᲚᲘ — 83

ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲡ ᲙᲠᲔᲤᲕᲔᲜ ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ

ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘᲡ მასობრივ კრეფას შეუდგნენ გურჯაანის რაიონის მშრომელები. აქ ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა ავდრის შედეგების — ვენახის დიდი ფართობის დაზიანების მიუხედავად მოკრიფონ რაც შეიძლება მეტი ყურძენი, არ დაუშვან დანაკარგები მოსავლის დამზადებისა და ტრანსპორტირების დროს.

— რთვლის გრაფიკი, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილემ გ. ლაზარიაშვილმა, ისეთი გაანგარიშებით არის შედგენილი, რომ არ დაუშვათ შეფერხება მუშაობაში. გამოყოფილია საჭირო რაოდენობით ტექნიკა — მისაბმელიანი ტრაქტორები, დაახლოებით სამასი ავტომანქანა, სხვა საშუალებები. როგორც ყოველთვის, მევენახეებს დიდად ეხმარება მართვის ავტომატური სისტემა.

ვაზის მრავალჯერ შეწამვლის, გადიდებული დოზით სასუქის შეტანის მეოხებით ბევრმა მეურნეობამ კარგი მოსავალი მოიწია. დაახლოებით ხუთი ათას ტონას მოკრეფს ვაზისუბნის მევენახეობის საზოგადოებრივი მეურნეობა. კარგად არის საქმე აგრეთვე სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობაში. ყურძნის დამზადების გადიდებაში აქტიურად დაგვეხმარება სოფლის მოსახლეობა. განზრახული გვაქვს საკარმიდამო მეურნეობებში მოკრეფოთ დაახლოებით 12 ათასი ტონა ყურძენი.

ახლა კახეთის პრაქტიკულად ყველა კოლმეურნეობაში მიმდინარეობს რთველი. მიზანი ერთია: მოკრეფოთ რაც შეიძლება მეტი ყურძენი, შემჭიდროებულ ვადებში და თვისებრივად მაღალ დონეზე დავამთავროთ რთველი.

ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲥᲕᲐᲚᲐᲕᲔᲑᲘ

სამელიორაციო სამსახური მოწოდებულია შეასრულოს გადამწყვეტი როლი სასურსათო პროგრამის განხორციელებაში, რომელიც ითვალისწინებს: „ათწლეულში განხორციელდეს კოლხეთის დაბლობის მიწების 70 ათასი ჰექტარი ფარობის ამოშრობა“... ეს სახელმძღვანელოა ხალხთა მეგობრობის ორდენოსანი სახელგანთქმული ტრესტის „კოლხეთმშენისათვის“, რომელმაც ახალახან თავისი ნახევარსაუკუნოვანი იუბილე აღნიშნა.

50 წლის განმავლობაში ტრესტმა შეასრულა 300 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, ამოშრობილია 87.500 ჰექტარი მიწები, რეკონსტრუირებულია კოლხეთის 49 ათასი ჰექტარი. ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რამდენად გაიზრდება საირიგაციო მუშაობის ტემპი უახლოეს წლებში.

საქართველოს რუკაზე მწვანე არშიით არის აღნიშნული კოლხეთი, რომელიც გადაჭიმულია თითქმის მთელ შავიზღვისპირეთზე. საკვირველი გარდაქმნები მოხდა ჭაობებისა და ჭანჭრობების სამეფოში. „კოლხეთი — ეს არის გაუვალი ჭაობებისა და მალარიის სამეფო, სადაც ადამიანის ცხოვრება შეუძლებელია“... ბეროდოტეს ორი ათასი წლის წინათ ნათქვამმა ამ სიტყვებმა უკანასკნელ ექვს ათწლეულში დაკარგა თავისი აზრი. ამომშრალ მიწებზე გაჩნდა თანამედროვე დასახლებანი, გაშენდა ციტრუსის ბაღები და ჩაის პლანტაციები, ტუნგისა და დაფნის ხეივნები. კოლხეთი გახდა არა მარტო სუბტროპიკული მიწათმოქმედების მნიშვნელოვანი ობიექტი, არამედ მეცხაქონლეობის პროდუქტების მნიშვნელოვანი მომწოდებელიც.

მელიორაციამ სახსოვნელი მოახდინა: ირიგატორებს, მძლავრი ტექნიკის გამოყენებით, მიაქვთ ყოველდღიური იერიშები ჭანჭრობებსა და ჭაობებზე, უბრუნებენ სიცოცხლეს მიწას.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: კოლხეთის პირველმკვალავები: „კოლხეთმშენის“ ტრესტის №3 მოძრავ-მექანიზებული კოლონის ინჟინერი ვაჟა ჩარკვიანი და ტექნიკოსი ავთანდილ ჭყონია კოლხეთის ჭაობებში გზის დასაზვერად და გასაყვანად მიდიან; დრენაჟმწყობი საირიგაციო ტექნიკის სიახლეა; საქართველოს სსრ დამსახურებული მელიორატორი, №6 მოძრავ-მექანიზებული კოლონის ინჟინერ-მიდროტექნიკოსი მამია შონია 25 წელზე მეტია კოლხეთის ათვისებისათვის მუშაობს.

Ი. ᲔᲛᲮᲝᲜᲔᲚᲘᲫᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

535 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲨᲔᲛᲝᲛᲓᲒᲝᲛᲘᲡ პირველი თვეც ხშირად ავდრიანი იყო. კოკისპირულმა წვიმებმა, როგორც იტყვიან, გული გაუწყალა სოფლის მშრომელებს. არადა, სექტემბერი ხომ ჩაის ფოთლის კრეფის გადამწყვეტი თვეა. ჩაის ფოთოლიც უხვად არის შემოსული. ახლა საჭიროა მთელი ძალების დაძაბვა და მონდომება, დარში თუ ავდარში შეუხელებელი შრომა, რათა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის ნაკისრი ვალდებულება უთუოდ შესრულდეს.

რას ითვალისწინებს ეს საიუბილეო ვალდებულება?

სახელოვანმა ზუგდიდელმა მეჩაიეებმა გადაწყვეტეს, რომ სადგმო 68.380 ტონის ნაცვლად მოკრიფონ და მრეწველობის გადასამუშავებლად ჩააბარონ 73.500 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, აქედან სტიქიით მიყენებული ზარალის ნაწილობრივ დასაფარავად — 1.000 ტონა. ეს გადიდებული ვალდებულება შარშან დამზადებულ ნედლეულზე 1.194 ტონით მეტია. ამასთან ერთად უნდა მოიკრიფოს 1.000 ტონა ლაო ჩაის ფოთოლი, რომელსაც სხვა წლებში ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დამთავრების შემდეგ ამზადებდნენ. ამას ემატება ისიც, რომ ახლა სოფელში სხვაც ბევრია საფიქრალი და საზრუნავი.

რაიონის ხელმძღვანელების მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა უამინდობის ჟამს ყველა მშრომელი დარაზმა მეთერთმეტე ხუთწლედის შუაგული წლის ფარამეტებით დამთავრებისათვის, სასახარულოა, რომ სახელოვანმა მეჩაიეებმა გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის ხუთწლედის სამი წლის საგეგმო დავალება. 193.880 ტონის ნაცვლად მოკრიფეს და გადამუშავებულ მრეწველობას მიჰყიდეს 205 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რომელიც შეუფერხებლად მიიღეს და გადამუშავეს ჩაის ფაბრიკებმა.

კვლავ ახალი სასახელო საქმეებისათვის დაირაზმნენ მეჩაიეები, რათა წელს ნაკისრი ვალდებულება დროულად შეასრულონ. რაიონში წელს უკვე მოკრეფილია 62.870 ტონა ჩაის ფოთოლი, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 9.781 ტონით მეტი. ლაო ჩაის ნედლეული დამზადებულია 900 ტონა. ზუგდიდელები ხარისხისათვის ბრძოლის ინიციატორებიც არიან. მათი თანამემამულის, ორგზის სოციალისტური შრომის გმირის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირის თამარ ყუფუნიას პატრონტული მოწოდების — „აღვუდგინოთ ქართულ ჩაის ძველი დაკარგული დიდება“ — შესასრულებლად ინიციატორებმა უფრო მეტი უნდა იზრუნონ. ბევრ საზოგადოებრივ მეურნეობაში ხარისხის მომატებისათვის მართლაც კარგად შრომობენ.

ფაბრიკების შრომის ორგანიზაციისა და სტამფილირების ბრიგადულ მეთოდზე გადასვლა 1984 წელს იყო გათვალისწინებული, მაგრამ საწარმოო გაერთიანების შრომის ნაყოფიერების და ორგანიზაციის გაუყოფელების უფროსის ლ. კუბუას ხელმძღვანელობით, რომელიც ამ საქმეს უძღვება, წლეულსვე ყველა ჩაის ფაბრიკა გადავიდა ანაზღაურების ამ ახალ მეთოდზე, რომელმაც საშუალოდ წელიწადში 64 კაცი გამოათავისუფლა და 25.800 მანეთი დაგვიზოგა. ამ და სხვა პროგრესული მეთოდების დანერგვით გაერთიანებამ ყველა ძირითადი მაჩვენებლის 8 თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. პროდუქციის ასორტიმენტის გაუმჯობესება და ხარისხოვნად გადამუშავებისათვის. კოლმეურნეობისა და ფაბრიკის მშრომელთა კონტაქტი და მეგობრული განწყობილება ამ საყოველთაო საქმის კარგი დაგვირგვინებაა.

წლეულს კოლმეურნეობა ვალდებულებით 1.104 ტონა ნედლეულს მოკრეფს. მეჩაიეებმა გადაწყვეტეს ვალდებულების შესრულება სახელმწიფოს პირველი ოქტომბრისათვის უსაკოო. სხვა ბევრი საქმეა და საამაყო აქვთ ჯიხაჩკარელ კოლმეურნეებს, რის შესახებაც მონაცემებს გვაწვდის მთავარი ბუღალტერი ბონდო ფიფია.

სხვა კოლმეურნეობებსა და მეურნეობებში მისვლა არც დაგვიჭირვებია. სტატისტიკური მონაცემები აშკარად ღაღადებს მათ კარგ და ცუდ მუშაობაზე. საამაყოა, რომ კახათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობა, რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ჯოტო გუგუჩია ხელმძღვანელობს, ვალდებულებით 3.570 ტონა ჩაის ნედლეულს ამზადებს და ხარისხისათვის ზრუნვა აქაურ მეჩაიეებს წუთითაც არ ავიწყდებათ. მოკრეფილი 3.341 ტონიდან 77,9 პროცენტი პირველი ხარისხისაა. რაოდენობასთან ერთად ხარისხისათვის ბრძოლა და საიუბილეო წლის ვალდებულების შესრულება გადაუდებელ ამოცანად აქვთ დასახული და წარმატებებსაც აღწევენ აგრეთვე ინგირის სტალინის სახელობის, ნარაზენის, კოკის ბარათაშვილის სახელობის, რიყის, ახალკახათის, შამგონის კოლმეურნეობები, ანაკლიისა და განმუხურის საბჭოთა მეურნეობები.

მაგრამ ერთიანი მეურნეობათა გამართული მუშაობა საქმეს ვერ შველის. საიუბილეო ვალდებულების შესრულებისათვის ჩაის ფოთლის კრეფის ამ გადამწყვეტ დღეებში ბევრმა საზოგადოებრივმა მეურნეობამ მხარი ვერ უსწორა მოწინავეებს, ამიტომაც სექტემბერში ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი ჩამორჩა შარშანდელ სექტემბრის შესაბამის პერიოდს. რაიონის საერთო მაჩვენებელი უკან იწევენ ჭითაწყარის, ჭადუაშის, ოქტომბრის, ახალბასთუმნის და სხვა მეურნეობები. კი მით უფრო გულსატკენია, როცა პარტიის ზუგდიდის რაიკომის ბიუროომ აგვისტოში განიხილა საკითხი რაიონის ზოგიერთი საზოგადოებრივ მეურნეობაში ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფისა და გადამუშავების ხარისხის ამაღლებისა და დაძლევის ღონისძიებათა შესახებ, ქმედითი ღონისძიებანიც განახორციელა, მაგრამ ჩამორჩენილი მეურნეობები კვლავ უგერგილოდ მუშაობენ.

როგორც აღვნიშნეთ, შარშანდელთან შედარებით წლეულს რაიონმა 1.194 ტონით მეტი ჩაის ფოთლის წარმოება იკისრა. შესაბამისად იზრდება გადამმუშავებელი საწარმოების მშენებლობაც, მაგრამ რა ფასი აქვს მას, თუ მშენებლობა დროულად არ დამთავრდა. ამას კი ვერ ვხედავთ ინგირის ელექტრომენტალური ფაბრიკის მშენებლობაზე, რომელიც დღემდე კუს ნაბიჯით მიმდინარეობს, თუმცა მისი საექსპლოატაციოდ გადაცემა გათვალისწინებულია მიმდინარე წლის ბოლოსათვის. სამშენებლო სამუშაოები აქ მხოლოდ 25 პროცენტით არის შესრულებული. ფაბრიკის დანადგარ-მოწყობილობა თითქმის მთლიანად მიღებულია და ლია ცის ქვეშ აწყვია, დამონტაჟებაზე ლაპარაკი ჯერჯერობით ზედმეტია. მშენებლობის აწარმოებს რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ცხაკაიას რაიონის მეხუთე ტრესტის ზუგდიდის № 26 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო.

ფაბრიკის მშენებლობის ნორმალური წარმართვისათვის ბევრი შემაფერხებელი მიზეზია, მათ შორის მაინც მთავარია კვალიფიციური და დამსწრარე მუშაბელი, რომლის მწვავე ნაკლებობა იგრძნობა. მშენებლებს ტრანსპორტიც არ ჰყოფნით, აკლიათ რკინის კონსტრუქციის ცხრა კოლონა, ურომლისოდაც მონტაჟისათვის შენობის მომზადება შეუძლებელია.

Ზ. ᲜᲝᲓᲘᲐ,
„ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ სპეც. კორ.

ᲢᲔᲛᲞᲘ! — ᲓᲠᲝ ᲐᲠ ᲘᲗᲛᲔᲜᲘᲡ

□ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ 1.000 ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲝᲚᲘ □ ᲡᲢᲘᲥᲘᲘᲗ ᲛᲘᲣᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲖᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲤᲐᲠᲕᲐᲓ □ ᲨᲐᲠᲨᲐᲜᲓᲔᲚᲓᲐᲜᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ 9.781 ᲢᲝᲜᲘᲗ ᲛᲔᲢᲘ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘ □ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲣᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲗ □ ᲛᲝᲛᲖᲘᲜᲐᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘ □ ᲛᲣᲨᲔᲑᲚᲝᲒᲐ ᲙᲣᲚ ᲜᲐᲒᲘᲯᲘᲗ?

● ●

მართალია, მკლავმოუღლელ მეჩაიეებს დარსა და ავდარში, მინდერად ცის ქვეშ უხდებათ მუშაობა, მაგრამ არანაკლები სამუშაო აქვთ ჩაის ფაბრიკების მშრომელებსაც. როგორ ირთმევენ თავს ჩაის ფაბრიკების მშრომელები დაკისრებულ მოვალეობას? ამ კითხვით მივმართეთ ჩაის მრეწველობის ზუგდიდის საწარმოო გაერთიანების გენერალურ დირექტორს რევაზ ივარდავას.

— წლევანდელი სეზონისათვის შზადება, — თქვა რ. ივარდავამ, — ჯერ კიდევ შარშან, სეზონის დამთავრებისთანავე დავიწყეთ. ფაბრიკებმა ორგანიზაციისა და სტამფილირების ბრიგადულ მეთოდზე გადასვლა 1984 წელს იყო გათვალისწინებული, მაგრამ საწარმოო გაერთიანების შრომის ნაყოფიერების და ორგანიზაციის გაუყოფელების უფროსის ლ. კუბუას ხელმძღვანელობით, რომელიც ამ საქმეს უძღვება, წლეულსვე ყველა ჩაის ფაბრიკა გადავიდა ანაზღაურების ამ ახალ მეთოდზე, რომელმაც საშუალოდ წელიწადში 64 კაცი გამოათავისუფლა და 25.800 მანეთი დაგვიზოგა. ამ და სხვა პროგრესული მეთოდების დანერგვით გაერთიანებამ ყველა ძირითადი მაჩვენებლის 8 თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. პროდუქციის ასორტიმენტის გაუმჯობესება და ხარისხოვნად გადამუშავებისათვის. კოლმეურნეობისა და ფაბრიკის მშრომელთა კონტაქტი და მეგობრული განწყობილება ამ საყოველთაო საქმის კარგი დაგვირგვინებაა.

წლეულს კოლმეურნეობა ვალდებულებით 1.104 ტონა ნედლეულს მოკრეფს. მეჩაიეებმა გადაწყვეტეს ვალდებულების შესრულება სახელმწიფო

პარტიული ცხოვრება: მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს დიდი წვლილი შეაქვს რესპუბლიკის ეკონომიკაში. ახლა ჩვენი ორმოცდაათზე მეტი ხომალდი ხერავს მსოფლიოს ზღვებსა და ოკეანეებს. მათს გამართულ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის სახალხო მეურნეობის ტვირთზიდვა. არსებობის 14 წლის მანძილზე სანაოსნომ ხუთჯერ დაამსახურა სსრ კავშირის საზღვაო და სამდინარო ფლოტის გარდამავალი წითელი დროშა. არ არის კვარტალი, სოციალისტურ შეჯიბრებაში რამდენიმე ხომალდი გამარჯვებული რომ არ გამოვიდეს. ანგარიშგება-არჩევნები პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში ყოველთვის უმნიშვნელოვანესი მომენტია, მაგრამ წელს განსაკუთრებით ბევრი აქვთ სათქმელი მეზღვაურებს.

როგორ იმუშავეს ეკიპაჟების წევრებმა საანგარიშო პერიოდში? როგორ ახორციელებენ ისინი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლო წლებში გამართული პლენუმების გადაწყვეტილებებს? რა წარმატებებით ხვდებიან გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავსა და სანაოსნოს პარტიული კომიტეტის მოახლოებულ პარტიულ კონფერენციას? აი საკითხები, რომლებზეც იმსჯელეს კომუნისტებმა.

ზომიერება ყველგან, ყველაფერში!

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა თბილისელ „ასპინძის“ პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის პ. მაკარაძის საანგარიშო მოხსენებამ. ხომალდი კომუნისტური შრომის დამკვრელის სპეციალური წოდებას ატარებს. ათი წლის მანძილზე გემზე არ შეუნიშნავთ საბოტაჟის წესების დარღვევის, უცხოეთში მეზღვაურთა უტაქტო მოქმედების შემთხვევები. პარტიულმა ორგანიზაციამ, ხომალდის მეთაურთა შემადგენლობამ დიდი მუშაობის შედეგად მიაღწიეს ერთსულოვანი კოლექტივის შექმნას. ყოველი მეზღვაური, შეიძლება ითქვას, უცხოეთში ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელია. მათს საქციელზე, მათს საქმიანობაზე ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტი. სწორედ ეს არის ყველაზე ქმედითი პროპაგანდა. იმ ეკიპაჟის მისამართით, რომელიც საბიდისწერო მდგომარეობაში მოქცეულ ადამიანებს ხელს გაუმართავს და სტიქიისაგან დაიხსნის, სამედიცინო დახმარებას გაუწევს და საკუთარ ლუკმას გაუყოფს, ქების მეტი ვის რა ეთქმის. „ასპინძელები“, რომელთაც უკიდეგანო სივრცეებში ასიათასობით

ზარალის ორი მხარე

რატომ დაირღვა დისციპლინა მაღაროთსამმართველოში?

● ●

ადამიანის კეთილდღეობის დონის ამაღლების ვრცელ პროგრამაში, რომელიც პარტიამ შეიმუშავა, ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი სურსათით მშრომელთა უზრუნველყოფის გაუმჯობესებისათვის ზრუნვაა. დასამალი როდია, რომ ჩვენში მეცხოველეობის პროდუქტების დეფიციტია. მის შესასვლელად საჭიროა მეცხოველეობის დაჩქარებული განვითარება. ეს კი შეუძლებელია, თუ არ შეიქმნა მტკიცე საკვები ბაზა.

საამისოდ მთელი რიგი პირობები უნდა გაითვალისწინონ რესპუბლიკის მეცხოველეებმა და საკვებმომპოვებლებმა: მარცვლეულის ნათესი ფართობების გადადება იქნება ეს თუ მოსავლიანობის რეგულარული მატება, საკვების ეფექტიანად გამოყენება თუ ბუნებრივი სავარგულების პროდუქტიულობის გადიდება. დღეს ეს პრობლემა უფრო გართულდა, რადგან უამინდობამ მართლაც არნახული ზარალი მიაყენა ჩვენს სოფლის მეურნეობას. წლევანდელი უამინდობა — წვიმა, სეტყვა, გრიგალური ქარები, ისედაც ზამთრის გვალვებით გამოშრალსა და გამოფიტულ მიწას უფრო მოერია და, რაღა თქმა უნდა, გააძნელა მუშაობა, გეგმის შესრულებისათვის ბრძოლა. მაგრამ ჩვენი სოფლის მშრომელებს გული ერთი წუთითაც არ გასტეხიათ და ყველფერს ღონობენ, რათა ზარალი მინიმუმამდე შეამცირონ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დახმარებით სიმინდეულები უკან მოვიტოვეთ, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, შედეგები მაინც არ არის მთლად სახარბიელო. ამ ფონზე, დღეს უფრო, ვიდრე ოდესმე, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ცხოვრებაში უპირველეს პრობლემად კვლავ საკვები ბაზა რჩება. სწორედ ახლა გახდა საჭირო ამ კონკრეტული პირობების გათვალისწინება, რომლებიც საკვების დამზადებისა და შენახვის საიმედო გარანტიას იძლევა. ამ პირობების დადებითად შესრულებისათვის მრავალი რეკომენდაცია და მითითება არსებობს, რომლებიც რესპუბლიკის საკვებმომპოვებლებმა დროულად

ზეპირი ფრონტი

„ბიოთურმანგანუმის“ საწარმოო გაერთიანების ახალი ოთხვლის ზ. პატარიძის სახელობის მაღაროთსამმართველოს დირექტორი.

„კომუნისტს“ უპასუხებენ

პარტიის მახარაძის რაიკომი

კურორტ ურეკში არსებულ ნაკლოვანებებს ეხებოდა კრიტიკული წერილი, რომელიც ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა. ამის გამო პარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ო. თენეიშვილი რედაქციას სწერს:

გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილ წერილში „ბიეზხედოთ კურორტ ურეკს“ მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება.

პარტიის რაიონული კომიტეტი და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომი ულანასკნელ წლებში გარკვეულ მუშაობას ეწევიან კურორტ ურეკის კეთილმოწყობისა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. მაგრამ ის გარემოება, რომ კურორტ ურეკის ტერიტორიაზე განლაგებული სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებები სხვადასხვა უწყებასა და ორგანიზაციას ეკუთვნის, არ იძლევა კურორტის ერთიანი ხელმძღვანელობის საშუალებას, ყოველივე ეს კი ქმნის უწყებრივ ბარიერებს და ძალზე მოუხერხებელია კურორტის საერთო განვითარების თვალსაზრისით. დასასვენებელი სახლებისა და ბანაკების ხელმძღვანელობა შემოფარგლული არიან ძმოლოდ თავიანთი ობიექტებით.

პარტიის რაიონულმა კომიტეტმა და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომმა დააყენეს საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე რაიონში არსებული კურორტების შემდგომი გეგმაზომიერი განვითარებისა და მომსახურების დონის ამაღლების მიზნით ერთიანი მართვის საბჭოს შექმნის შესახებ.

მიგვაჩნია, რომ საკითხის დადებითად გადაწყვეტა უზრუნველყოფს ყველა იმ პრობლემის გადაჭრას, რომლებიც ამჟამად არსებობს კურორტ ურეკში.

პარტიის ხაშურის რაიკომი

ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი „ვაი ხარცხვილო“, რომელიც ვაჭრობაში არსებულ ნაკლოვანებებს ეხებოდა. ამის გამო პარტიის ხაშურის რაიკომი რედაქციას სწერს:

გაზეთ „კომუნისტში“ 1983 წლის 21 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი „ვაი სირცხვილო“ მოყვანილი ფაქტები შეისწავლა და განიხილა საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომის ბიურომ. წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. რესტორან „რიკოთში“ სისტემატურად ირღვევა სანიტარიულ-ჰიგიენური წესები, ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა გამზარეულოს, სათავსოების წესრიგში მოყვანას. არ იგრძნობა ზრუნვა მომსახურების კულტურის აწაღლებისათვის. რესტორანში მომხდარი ხულიგნობის შესახებ თანამშრომლებს რატომღაც არ უცნობებიათ შინაგან საქმეთა განყოფილების და რაიკოოპერატივის გამგეობისათვის.

საზოგადოებრივი კვების ობიექტებში არსებული უწესრიგობისათვის, სანიტარიულ-ჰიგიენური წესების დაუცველობის და ჩაის ვრები ლენინგრადის ოლქის ლომონოსოვის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს აქვთ, რაზეც ამ დღეებში „კომუნისტი“ წერდა. ამ საძოვრებზე მაქსიმალურად უნდა შეეფუთამოთ ჩვენი კლიმატური პირობები, ბალახნარევის შერჩევით გავახანგრძლივოთ ძოვება შემოდგომით და ადრე გაზაფხულზე იმ ანგარიშით, რომ ბაგური კვება მინიმუმამდე შეეამციროთ ნებისმიერ ზონაში.

თუ როგორია პროდუქტიულობის დონე, ამის მიხედვით უნდა განისაზღვრებოდეს საძოვრიდან მიღებული საზრდო ნივთიერებების რაოდენობა, რის საფუძველზეც ზუსტდება დაკმაყოფილების პროცენტი და განისაზღვრება კამატებით მისაცემი კომბინირებული საკვების რაოდენობა კონკრეტულ პირობებში.

დიდია კულტურული საძოვრების მნიშვნელობა სამრეწველო მეცხოველეობის კომპლექსებში, ამასთან აუცილებელია ქიმიური და მიკრობიოლოგიური მრეწველობის განვითარება, რათა მათი პროდუქტებით შევავსოთ პირუტყვის მოთხოვნილება.

რაციონალურად რომ გამოვიყენოთ საკვები, ამისათვის საჭიროა იგი ყველა საზრდო ნივთიერებით იყოს შევსებული. მეცნიერულ დონეზე უნდა გადაწყდეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების საკითხი და თუ ამ პირობას კონკრეტული საშუალებების გათვალისწინებაც დაემატება, ეჭვი არ არის, დადებითად გადაწყდება სხვა მნიშვნელოვანი პრობლემები, მეცხოველეობის დაჩქარებული განვითარებისათვის რომ დასახა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

ა. კოზმანიშვილი,
საქართველოს ზოოვეტერინარული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ცხოველთა კვების კათედრის გამგე, პროფესორი.

ჯ. კვირიკაშვილი,
კომბინირებული საკვების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სიახლეთა დანერგვის განყოფილების გამგე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი

ზეპირი ფრონტი

„ბიოთურმანგანუმის“ საწარმოო გაერთიანების ახალი ოთხვლის ზ. პატარიძის სახელობის მაღაროთსამმართველოს დირექტორი.

ვაზისუბნის მიდამოებში აშენდა კიდევ ერთი მაღლივი კორპუსი, რომელსაც მოპირკეთებული ფასადი ამშვენებს. ეს სიახლეა მშენებლობაში. მოპირკეთებული ბლოკების გამოყენება ათითხუთმეტი დღით აჩქარებს მშენებლობის დამთავრებას. ასეთი კორპუსების მშენებლობას აწარმოებენ „თბილისმშენის“ № 10 ტრესტის და № 7 სამმართველო, სამონტაჟო სამუშაოებს კი № 8 სამმართველო ასრულებს. ახლო მომავალში ამ ტიპის თექვსმეტსართულიანი საცხოვრებელი შენობები კიდევ უფრო დაამშვენებენ თბილისს.

სურათზე: თქვენ ხედავთ: (მარცხნიდან) მოწინავე შემდუღებელს მ. ფილიშვილს, მღებავთა ბრიგადირს ზ. ჩიტაძეს, სამუშაოთა მწარმოებლებს ჯ. დუმბაძეს და ნ. თათრიშვილს, სამუშაოთა ოსტატს გ. კობახიძეს.

ჯ. ლომაძის ტექსტი და ფოტო.

თბილისის ახალმშენებლობებზე

„ბავშვთა სამყაროს“ საუკეთესო ნიმუშებით

თბილისის ვაგზლის მოედანზე აღმართული ფირმა „ბავშვთა სამყაროს“ უნივერმაღი სამართლიანად დაიკავებს ლიდერის ადგილს, გახდება მეთაური საწარმო ვაჭრობის ამ დარგში.

